# სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

# ო ქ მ ი №5

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2026 წლის 28 მაისს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 12:00 სთ-ზე).

**სხდომას ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი შომახია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - კაპიტონი ტორჩინავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელიზბარი ოდიშარია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ყურაშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელგუჯა კვაშილავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ვლადიმერი კირცხალია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ნუგზარი ხუხუნი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზურაბი აფაქიძე; საკრებულოს წევრები: მარინე ნანეიშვილი, შაქრო კოკაია; ბადრი შარტავა; მალხაზი ხაბურზანია; გოჩა ოდიშარია; ნატო შონია; ნიკოლოზ ქეცბაია; მიხეილ ნადარაია; გიორგი წურწუმია; თენგიზი ცეკვავა; სოფიკო კალანდია.

**ასევე ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: ი. წურწუმია; ლ. დგებუაძე; მ. ბოჯგუა; მ. სართანია; ს. მორგოშია; თ. ბაქრაძე; მ. ჯანაშია.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა.

**მოისმინეს:** 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის სხდომის დღის წესრიგი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა** :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დ. ალანია

3.შ.პ.ს. „სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა

4. შ.პ.ს. „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა

5. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ"

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

6. „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

7. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია"

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ - ი. წურწუმია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დანართის შესაბამისად.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 3. შ.პ.ს. „სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – შ.პ.ს. „სენაკის ბავშთა საავადმყოფოს" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. შ.პ.ს. „სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს" 2025 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და შ.პ.ს. „სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247)..

მოისმინეს: 4. შ.პ.ს. „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - შ.პ.ს. „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. შ.პ.ს. „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ 2025 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და შ.პ.ს. „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას“.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

**მოისმინეს: 5.** სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1

დამტკიცდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

**მოისმინეს: 6.** „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ’’ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ’’ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1

„სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში (www.მატსნე.გოვ.გე, 16/11/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.108.016331) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-23 მუხლის მე-1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მერიის სტრუქტურული ერთეულების ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა სტრუქტურულ ერთეულთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა სტრუქტურულ ერთეულში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას - დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 7. სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე
მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – სენაკის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტში, ქალაქ სენაკის, უსახელო ქუჩას მიენიჭოს დავით აღმაშენებლის V ჩიხი და დავით აღმაშენებლის IV შესახვევი. (ორთოფოტო თან ერთვის).
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აზრების, ფირნიშების, ცნობარების დამზადება, კორექტირება, და გავრცელება ).
3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გაუგზავნოს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას,აგრეთვე უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს"ვებგვერდზე.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. 247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ჯუმბერი ტყებუჩავა